პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 აპრილი, შაბათი, 1989 წ.
№ 73 (9992) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხალხთან მოთათბირებით

საქართველოში მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების შეხვედრები პარტიულ აქტივებთან, საწარმოების, სასწავლებლების კოლექტივებთან. გულახდილი, დაინტერესებული საუბრების დროს ლაპარაკობენ იმაზე, რომ საჭიროა გამოიჩინონ თავშეკავება, საღი აზრი, პასუხისმგებლობის გრძნობა. განსაზღვრავენ რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის, 9 აპრილის ამბების შემდეგ დარღვეული ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმის აღდგენის კონკრეტულ გზებსა და შესაძლებლობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანჩაბაძე მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს მუშაობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ჭითანავა — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის აქტივის კრებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია შეხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებლებსა და სტუდენტებს. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ო. გ. ვარძელაშვილი მონაწილეობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული აქტივის მუშაობაში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. მახარაშვილი ეწვია თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე შეხვდა ზოოვეტინსტიტუტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რ. საჯაია იყო საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე კი მონაწილეობდა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის მასწავლებელთა და სტუდენტთა კრებაში.

ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი შეხვდნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქის შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე გამოვიდნენ რევაზ ჩხეიძე, ირაკლი შენგელაია, ვიქტორ რცხილაძე, კარლო ბარდაველიძე, იზა ორჯონიკიძე, ლანა დოლობერიძე, ნოდარ ნათაძე, მუხრან მაჭავარიანი, აკაკი ვასაძე, აკაკი ბაქრაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, რევაზ ესაძე, მიხეილ კალატოზიშვილი, ვახტანგ კიკაბიძე, რუსლან მიქაბერიძე, პარმენ მარგველაშვილი, გურამ პეტრიაშვილი და ელდარ შენგელაია.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ე. ა. შევარდნაძე და ჯ. ი. პატიაშვილი.

მწვავე, ზოგჯერ პირდაპირი აზრთა გაზიარების დროს გამოითქვა უკმაყოფილება 9 აპრილს მომხდარი ამბების მიზეზების გამოძიების მთავრობის კომისიის შემადგენლობის, ქალაქის ახლანდელი მოვლენების გაშუქებისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, განსაკუთრებით ცენტრალური პრესის გარკვეული არაობიექტურობის გამო. გამოითქვა წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაჩქარდეს გამოძიება და დაასახელონ ტრაგედიის კონკრეტული დამნაშავენი.

ჩვენი მწუხარება უზომო და უნუგეშოა, დაიღვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი და ამას გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. დაღუპულთა ოჯახებმა და თითოეულმა ჩვენგანმა ღირსეულად უნდა გააცილონ ისინი უკანასკნელ გზაზე.

შეკრებილთ გააცნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფის წერილი მ. ს. გორბაჩოვს; წერილში დაწვრილებით არის გაანალიზებული ახლანდელი სიტუაცია და დასახულია კრიზისის დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი.

შეხვედრაზე აღიძრა სხვადასხვა საკითხები, რომლებიც დღეს აწუხებს ახალგაზრდობას, საზოგადოებრიობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ თითოეული მათგანი გულმოდგინე და ობიექტურ შესწავლას, ანალიზსა და პასუხს მოითხოვს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

12 აპრილს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, აღინიშნა, რომ ტრანსპორტის მუშაკთა კარგი მუშაობის წყალობით, გასული დღე-ღამის განმავლობაში თბილისში პრაქტიკულად მოქმედებდა ყველა სახეობის საქალაქო და საზოგადოებრივი ტრანსპორტი — ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტრამვაი, ტაქსი. არ ყოფილა შეფერხებები მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებაში. მეტწილ სამრეწველო საწარმოებში აღინიშნა მუშა-მოსამსახურეთა ერთსულოვანი გამოსვლა. ყოველივე ეს გახდა პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების, მთელი რიგი შრომითი კოლექტივების ერთობლივი კოორდინირებული მეცადინეობის, მოპიკეტეებთან — იმათთან ბრძოლის გააქტიურების შედეგი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ სიტუაციის სტაბილიზაციის პროცესს. გუშინ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის დააკავეს და სასამართლო პასუხისმგებაში მისცეს მთელი რიგი მოპიკეტეები.

ამასთან აღინიშნა, რომ რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში მთლიანად ვითარება კვლავ დაძაბულია. არ განახლებულა მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებლებში. მოხულიგნო ელემენტები კვლავ ცდილობენ დაარღვიონ ტრანსპორტის, სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების მუშაობა, ხელს უშლიან სკოლებში სასწავლო პროცესის მოწესრიგებას.

ამასთან დაკავშირებით, აღინიშნა ბიუროს სხდომაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტ ახალგაზრდობასთან პარტიული, საბჭოთა, იდეოლოგიური აქტივის მუშაობას, უნდა გავაძლიეროთ მტკიცე ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებთან, აღმოვუჩინოთ დახმარება სამართალდაცვით ორგანოებს დეზორგანიზაციისა და პროვოკაციის ყოველი ცდის აღკვეთაში, კომენდანტის საათის მოთხოვნათა დაცვაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უფრო ოპერატიულად უნდა მოახდინონ რეაგირება მიმდინარე ამბებზე, ადამიანებს მიაწოდონ მართალი, სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც უარყოფს ექსტრემისტი ელემენტების მიერ გავრცელებულ ხმებსა და ჭორებს.

მთელი ობიექტურობით უნდა ვუჩვენოთ იმათი როლი და სახე, რომლებიც ხელს უწყობდნენ ვითარების გამწვავებას, მოუწოდებდნენ არასანქციონირებული მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეებს ურჩობისაკენ, აყენებდნენ ანტისაბჭოთა ლოზუნგებს, რითაც უბიძგებდნენ ახალგაზრდობას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ.

ბიუროზე გინიხილეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ი. ა. მენაღარიშვილის, რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილის ნ. ხ. შოშიაშვილის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის შ. ვ. გორგოძის, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ვ. ა. შარაშენიძის, პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების ინფორმაცია.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილეს ა. თ. კატუსევს დაევალა საგანგებოდ გამოიძიოს საზოგადოებრიობის ვარაუდი სპეციალურ ქიმიურ მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენების შესახებ. გამოძიების შედეგები ეცნობება საზოგადოებრიობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

• • •

13 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდნენ ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიმართვას საქართველოს კომუნისტებისა და ყველა მშრომელისადმი. ეცნობიან რა მიმართვას, მშრომელებს მიაჩნიათ, რომ თითოეული მოქალაქის ზნეობრივი მოვალეობაა ყველაფერი იღონოს, რათა ჩაცხრეს ვნებათაღელვა, ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს რესპუბლიკის ცხოვრება.

მოისმინეს პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციები განვლილი დღე-ღამის მანძილზე თბილისსა და რესპუბლიკაში მდგომარეობის შესახებ. ყველა სამრეწველო საწარმო, კომუნალური სამსახურები, ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ნორმალური რიტმით მუშაობენ. არ შეიმჩნეოდა შეფერხებანი სურსათით მოსახლეობის მომარაგებაში. იკლო კომენდანტის საათის მოთხოვნათა დარღვევებმა. სტაბილური ხდება ვითარება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

დადებითს შედეგებს იძლევა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების, პარტიული აქტივის წარმომადგენელთა შეხვედრები შრომითს კოლექტივებთან. მშრომელები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ქალაქში ჯერეოვანი წესრიგის დამყარებაში, ხელს უწყობენ რესპუბლიკის დედაქალაქის ტრანსპორტის, სამრეწველო საწარმოების და დაწესებულებების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფას, საკადრის პასუხს სცემენ მოპიკეტეებს. მთელი რიგი საწარმოების მუშები იჩენენ ინიციატივას იმუშაონ შაბათს, რათა შეავსონ წარმოების მოცდენით გამოწვეული ჩამორჩენა.

ამავე დროს აღინიშნა, რომ ვითარება ჯერ კიდევ დაძაბულია. ჯერაც არ განახლებულა მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებლებში, მიღწეული არ არის სკოლებში სასწავლო პროცესის სრული ნორმალიზაცია. ექსტრემისტული ელემენტები კვლავ ცდილობენ შექმნან პანიკა მოსახლეობაში, ხელი შეუშალონ ვითარების შემდგომ სტაბილიზაციას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, იდეოლოგიურმა აქტივმა უნდა განაგრძონ მუშაობა იმისათვის, რომ ოპერატიულად მიაწოდონ ინფორმაცია მშრომელებსა და მოსახლეობას რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის შესახებ, მიაღწიონ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ზედმიწევნით სიზუსტესა და ობიექტურობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროვოკაციული ჭორების აღკვეთას, ჯარის წინააღმდეგ გამოხდომებსა და განწყობილებებს, რომლებიც ზიანს აყენებს ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

ნუ აჰყვებით ჭორებს!

9 აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით ქალაქსა და რესპუბლიკაში ვრცელდება სულ სხვადასხვაგვარი ჭორები, მათ შორის ისეთიც, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ სინამდვილესთან და მოსახლეობის დეზორიენტაციას იწვევენ. ამას მოწმობს ექსპერეს-გამოკითხვის მონაცემებიც, რომელიც მოაწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ცენტრმა.

მაგალითად, ბევრმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებაია და დამატებათა შეტანის თაობაზე და სსრ კავშირის ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტი ხელმოწერილი იყო 8 აპრილს, შაბათს, და მიაჩნიათ, რომ ეს მოხდა იმ მიზნით, რომ თბილისის 9 აპრილის ამბების შემდეგ გამოყენებულ იქნეს დაკავებულთა მიმართ.

ანალოგიურ საკითხს შეეხნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს ვ. ნ. კუდრიავცევთან საკავშირო კორესპონდენტის საუბარში. მას შეეხსენეს ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის, მოლდავეთის ცნობილი ამბები, აგრეთვე ის, რომ ობივატელს შეუძლია დასვას შეკითხვა: მათ შესახებ ხომ არ გამოსულა ახალი ბრძანებულება? ამაზე ვ. ნ. კუდრიავცევმა უპასუხა:

— დოკუმენტი ამ ამბებამდე დიდი ხნით ადრე და მათგან დამოუკიდებლად მზადდებოდა. სამართლებრივი აქტების შემუშავებისას აჩქარებას ხომ შეიძლება უზუსტობანი მოჰყვეს. ეს დოკუმენტი კი მზადდებოდა არა სპონტანურად, არამედ მეცნიერულად და გეგმაზომიერად. ამიტომ ახალი ბრძანებულება უფრო ჰუმანური და დემოკრატიულია და შეესაბამება საერთაშორისო სტა-

(დასასრული მე-2 გვ.)

ბრიფინგები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

12 და 13 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ბრიფინგები, რომლებზეც ჟურნალისტებს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია თბილისში, მთლიანად რესპუბლიკაში ვითარების და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ხორციელდება მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. ბრიფინგებს უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ფოფხაძე.

მათს მონაწილეებს გააცნეს ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს.

პასუხი გაეცა ცენტრალური და რესპუბლიკური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა მრავალრიცხოვან კითხვებს. კერძოდ, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რაოდენ უსაფუძვლოა მტკიცება მსხვერპლის რაოდენობის შესახებ არაასწორი მონაცემების თაობაზე. ქალაქში აკრავენ სიებს, რომლებშიც ჩამოთვლილია თითქოსდა დაღუპულთა გვარები, მაშინ როცა უკვე არაერთგზის გამოქვეყნდა ცნობა, რომ ტრაგედიის დღეს და მომდევნო დღეებში დაიღუპა 18 კაცი, მათი სია გამოქვეყნებულია. საუბედუროდ, ამ სამწუხარო სიას 13 აპრილს დაემატა კიდევ ერთი კაცი — თელავის რაიონის სოფელ აკურის 35 წლის მცხოვრები შალვა იაკობის ძე ქვასრულიაშვილი. დღისათვის საავადმყოფოებშია 103 დაშავებული.

ბრიფინგების მონაწილეებს აგრეთვე აცნობეს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებმა დააკავეს უწესრიგობათა ერთ-ერთი ორგანიზატორი ი. წერეთელი.

აღინიშნა, რომ მოწოდებას, რომელიც გაისმა თბილისელ ავიამშენებლებთან შეხვედრაზე, აგრეთვე რუსთავის საწარმოო გაერთიანების „აზოტის“ მშრომელთა კრებაზე, რომ დამყარდეს ჯერეოვანი წესრიგი საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და ქუჩებში მუშათა კოლექტივების, მთელი რესპუბლიკის შეგნებული საზოგადოებრიობის ძალებით, ფართოდ უპერენ მხარს და ეს აუცილებლად უნდა აისახოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ ხელი უნდა შეუწყონ ცხოვრების ნორმალური რიტმის აღდგენას, რათა უკვე უახლოეს ხანს აღარ გახდეს საჭირო კომენდანტის საათი და სხვა საგანგებო ღონისძიებანი.

ბრიფინგების მონაწილეებს გააცნეს ექსპრეს-ანალიზის შედეგები, რომელსაც ყოველდღიურად ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სამხედრო კომენდანტურის წარმომადგენლებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს და მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტებანი.

ნუ აჰყვებით ჭორებს!

(დასასრული)

ნდარტებს, ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს. ჩვენი საზოგადოების დემოკრატიას კანონი უნდა იცავდეს.

აი რა განაცხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგემ ირაკლი ჩიქოვანმა: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, იქნება იგი ბრძანებულება, კანონი თუ კოდექსი, ძალაში შედის გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ, ოღონდ იმ სავალდებულო პირობით, თუ თვით ამ აქტში არ არის მითითებული ძალაში შესვლის სხვა ვადები. ბრძანებულება, რომელზეც ლაპარაკია, გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა 11 აპრილს, იქ სპეციალურად არის აღნიშნული, რომ იგი ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან. მაშასადამე, 9 აპრილს დაკავებულთა მიმართ ეს საკანონმდებლო აქტი არ გამოიყენება.

9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა რიცხვის გამო არასარწმუნო ცნობების შესახებ საზოგადოებრიობაში მოარული ხმების კომენტირებისას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ირაკლი მენდარიშვილმა განაცხადა, რომ სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსებული იყო 16 დაღუპული. შემდგომ ამათ დაემატა კიდევ ორი — ქალიშვილი, რომელიც დაიღუპა რუსთაველის პროსპექტზე მიღებული ტრავმის შედეგად, და ახალგაზრდა კაცი, რომელიც გარდაიცვალა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით, რომელიც მიიღო კომენდანტის საათის შემოღების შემდეგ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დამთავრებამდე სიკვდილის მიზეზებზე ლაპარაკი ნაადრევია. მაგრამ, გაითვალისწინა რა ამ საკითხისადმი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი, მინისტრმა აღნიშნა, რომ გამოკვლევათა კვალიფიციური და ობიექტური განხორციელებისათვის მოწვეული არიან რესპუბლიკის თვალსაჩინო ექიმები და ექსპერტები. ამას გარდა, ექიმების მუშაობას თვალყურს ადევნებენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მათ შორის რუსთაველის საზოგადოების, მთელ რიგ არაფორმალურ გაერთიანებათა წევრები.

რაც შეეხება ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას, მინისტრმა თქვა, რომ ეს ფაქტი მედიკოსებს უეჭველად მიაჩნიათ. ახლა საჭიროა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების ხელმძღვანელებმა მიგვითითონ გამოყენებული ქიმიური ნივთიერების სახეობა. მედიკოსებმა უკვე მოამზადეს მასალები ქიმიური პრეპარატების გამოყენების შესახებ, რომლებიც გადაეცემა მთავრობის კომისიას. მთელი მუშაობა სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც დაზარალებულნი მიიყვანეს, მიმდინარეობს საჯაროობის პირობებში. ყოველ ახალ ამბავს სისტემატურად აცნობებენ საზოგადოებრიობას.

9 აპრილის გამოძახილი

სიმშვიდე, სიმშვიდე

9 აპრილს, თბილისში, გამთენიისას მომხდარმა უბედურებამ ყველას მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვა. ლაპარაკიც კი მიჭირს, მაგრამ ისიც არ შემიძლია, ამ ძნელბედობის ჟამს ორიოდე სიტყვა არ ვუთხრა ჩემს თანამემამულეებს, თანაქალაქელებს.

თბილისში 9 აპრილიდან შემოღებულია კომენდანტის საათი. გვინდა ეს? რა თქმა უნდა, არა. საქართველოს დედაქალაქი, რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს მისთვის ჩვეული ცხოვრების რიტმს. ეს კი, მეგობრებო, თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული. აუცილებლად უნდა განახლდეს სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, საშუალო სკოლებში, სრულად აღსდგეს ჩვეულებრივი საწვრთნო პროცესები სპორტულ სკოლებსა და სპორტის სხვადასხვა სახეობის სექციებში, კვლავ უნდა გაიმართოს შეჯიბრებები, სპორტული საღამოები.

აღარ გვინდა უბედურება, გონიერებას მოვუხმოთ, ჩემო თანამემამულენო, თანაქალაქელნო!

მზია ჯუღელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მოთმინებით...

გლოვობს საქართველო, დღეს ჩემს ოჯახშიც გლოვაა, გლოვობს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიც. მაგრამ არ ვიქნებით მართლები, თუ ამ აუნაზღაურებელ უბედურებას ახალს დავუმატებთ, არ მოვიკრებთ ძალას, არ მოვუბმობთ გონებას და ერთად არ ვიბრძოლებთ შესაძლო, უფრო რთული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად.

ტელევიზიაში თუ პრესის ფურცლებზე გამოსულნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ თბილისში დაიწყო ვითარების ნორმალიზაცია, ეს სპორტულ ცხოვრებაზეც ითქმის, თუმცა, დიდი სპორტული ბაზები ჯერ კიდევ ჯარს აქვს დათმობილი, ფაქტიურად შეწყდა სპორტული შეჯიბრებები, სპორტსმენთა წვრთნა. ტურისტული ჯგუფებიც ერიდებიან გარეუბნებში გასვლას ყველასათვის გასაგები მიზეზის გამო.

ზოგმა შეიძლება შეგვნიშნოს: რა დროს სპორტია, როცა მთელი საქართველოს, მთელი ერის ბედია სასწორზე შემოდებულიო. მაგრამ, ძვირფასო მეგობრებო, სპორტი ყოველთვის თამაშობდა არსებით როლს ჩვენი ქვეყნის გადარჩენაში, სწორედ იგი უზრდიდა საქართველოს უტეხი სულისა და მოუღლელი მარჯვენის მქონე თაობებს. სპორტული მოძრაობის, ისე როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა დარგების ჩავარდნა-დაქვეითება, არაფერ კარგს არ მოგვიტანს, არ მოუტანს ისეთ საქართველოს, როგორზედაც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი ოცნებობს.

მე მინდა მივმართო ჩვენი სპორტსმენებისა და მწვრთნელების მრავალათასიან არმიას: ჩვენ კარგად გვიცნობენ და პატივს გვცემენ ახალგაზრდები, მეგობრულად, მამაშვილურად ვურჩიოთ და გავერკვეთ საქმის ნამდვილ ვითარებაში, ეს რაც უფრო ადრე მოხდება, მით უფრო ჩქარა ჩადგება კალაპოტში ცხოვრება და მასთან — სპორტული მოძრაობაც.

40 წელია ჩემი სიტყვის გჯეროდათ (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მწამს), და ახლაც მინდა გულს აღიბეჭდოთ ეს თხოვნა: დღეს, ვინც თბილისის ქუჩებში მდგარ ჯარისკაცებს რაიმეთი გააღიზიანებს და გამოიწვევს, ის შეიძლება ცეცხლზე ნავთის დამსხმელის როლში გამოვიდეს. სწორედ ამიტომ მოგმართავთ, რომ თავი შევიკავოთ მხოლოდ ზიანის მომტანი, ერის დამღუპველი ექსცესებისაგან. ყოველი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლის შეწყვეტით ერის ბედნიერ მომავალს კიდევ ერთი შვილი აკლდება.

ავთანდილ ციბაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სამძიმრის დეპეშები

სომხეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიდან

სომხეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივი თქვენთან ერთად გლოვობს და იზიარებს თქვენს ღრმა მწუხარებას უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვის გამო.

ტოპალიანი,
ინსტიტუტის რექტორი.

• • •

ძვირფასო მეგობრებო. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო. მარად თქვენთან ვართ.

ტანვარჯიშის კათედრა.

• • •

საქართველოს ამ უმძიმეს დღეებში გიცხადებთ თანაგრძნობას და ვიზიარებთ თქვენს წუხილს თავდატეხილი უბედურების გამო. ჩვენ თქვენთან ვართ.

თეორიის კათედრა.

• • •

ძვირფასო ძმანო და კოლეგებო. შეძრწუნებული ვართ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო. თქვენთან ერთად ვგლოვობთ, მუდამ თქვენთან ვართ.

ცურვის კათედრა.

• • •

ძვირფასო მეგობრებო, მძლეოსნობის კათედრის წევრები და მათი ოჯახები დიდად დაგვამწუხრა უდანაშაულო ადამიანთა ტრაგიკულმა დაღუპვამ. თქვენი სახით თანავუგრძნობთ მთელ ქართველ ხალხს. ამ გლოვის ჟამს ჩვენ თქვენთან ვართ.

მძლეოსნობის კათედრა.

• • •

ქართველო დანო და ძმანო. გულწრფელად გითანაგრძნობთ 9 აპრილს უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვის გამო. ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას.

სომხეთის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კოლექტივი.

13 აპრილს რესპუბლიკაში

რესპუბლიკის მშრომელებმა, ყველა მცხოვრებმა იგრძნეს, რომ 13 აპრილისათვის მნიშვნელოვნად სტაბილიზებული გახდა ვითარება. ზუსტად იკავენ კომენდანტის საათს თბილისში. თუმცა არის კომენდანტის საათის მოქმედების დროს ქუჩებში ადამიანთა დაკავების შემთხვევები. ძირითადად, ესენი არიან პირნი, რომლებიც გვიანობამდე შემორჩნენ ნაცნობებთან, ან ისინი, ვინც სწორად ვერ გაიგო სამხედრო კომენდანტის ბრძანება, რომელშიც საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ უნდა იქონიონ პასპორტი.

12 აპრილს დიდ საწარმოებში მეორე ცვლაში შეტი მუშა გამოვიდა, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. საჭიროა, რომ 13 აპრილს რესპუბლიკაში და მის დედაქალაქში პრაქტიკულად არ დარჩეს არც ერთი საწარმო, რომელიც არ იმუშავებს.

უკეთ, უფრო რიტმულად მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი.

ვრცელდება ჭორები, თითქოს უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სიძნელეები სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებით. სინამდვილეში ქალაქის ყველა პურსაცხობი საწარმო შეუფერხებლად მუშაობდა. ყველა დიდ მაღაზიაში არის პურის ზედმეტობა, ამიტომ საავჭრო ორგანიზაციებმა 80 ტონით შეამცირეს პურის შეკვეთები.

არავითარი პრობლემა არ არის რძით და მისი ნაწარმით მაღაზიების მომარაგებაში. ღამის ცვლა ნორმალურად მუშაობდა. უზრუნველყოფილია რძის პროდუქტების მიწოდება 330-340 ტონის მოცულობით. შეუფერხებლად მუშაობენ ხორცის გადამამუშავებელი საწარმოებიც. 13 აპრილს მაღაზიები უზრუნველყოფილი იყო 53-54 ტონა ძეხვეულით, ნორმით გათვალისწინებული 50 ტონის ნაცვლად.

გვარდება ბოსტნეულით ქალაქის მომარაგებაც. წუხელ საავჭრო ქსელში შეიტანეს 125 ტონა კარტოფილი, 18 ტონა კომბოსტო, 42 ტონა ხახვი, 18 ტონა პამიდორი, 8 ტონა კიტრი, რაც აღემატება გრაფიკით მიწოდებათა ჩვეულებრივ ნორმებს.

მუშაობს თბილისის ყველა საშუალო სკოლა, თუმცა გაკვეთილებზე დასწრებამ ცალკეულ რაიონებში 75-80 პროცენტი შეადგინა. მოსწავლეთა 50 პროცენტი იყო საბურთალოს, ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონების სკოლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა მშობელმა დროებით გაიყვანა ბავშვები ქალაქიდან.

რამდენადმე უფრო რთულია მდგომარეობა უმაღლეს სასწავლებლებში. მაგალითად, ნაწილობრივ შეცადინეობა ეწყობა მხოლოდ სამედიცინო ინსტიტუტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრებზე და ლაბორატორიებში. რესპუბლიკის ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების ლექციებზე დასწრებამ შეადგინა 60-90 პროცენტი. ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები და მასწავლებლები სამუშაოზე არიან და ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან სტუდენტებთან.

თბილისში ამ დღეებში.

ფელიქს კრიმსკის ფოტო („კომუნისტი“).

იუსტიციის სამინისტროდან გვატყობინებენ

12 აპრილს კომენდანტის საათის დარღვევისათვის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოში მიიყვანეს რვა მოქალაქე. ეს არის დროებით უმუშევარი ზაზა ხარატიშვილი, ერთ-ერთი ჯარის ნაწილის თავისუფლად დაქირავებული რამაზ მაჭავარიანი, დროებით უმუშევარი გიორგი საამიშვილი, „თბილისქალაქმშენის“ №1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშა ამირან შეყილაძე, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამუშაოთა მწარმოებელი დავით ჩიქობავა, თბილისის მექანიზაციის სამმართველოს მძღოლი გიორგი გიორგაძე, გორის რაიონის სოფელ ძევერის მცხოვრები ცეზარ მორბელაძე, კოოპერატივ „ავტოტექნიკის“ ოსტატი გია გურალოვი. ყველა ეს მოქალაქე კომენდანტის საათის დაწყების შემდეგ დააკავეს ქალაქის ქუჩებში, ერთი — რკინიგზის ვაგზალთან მდებარე მოედანზე. ადმინისტრაციული კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად, სამართალდამრღვევები დაჯარიმებული არიან 50-50 მანეთით.

ამავე მუხლით 50 მანეთით დაჯარიმდა კიდევ ორი კაცი. ისინი მიიყვანეს საქართველოს დედაქალაქის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში. ეს არის გია ბასიაშვილი, რომელიც არსად არ მუშაობს. 11 აპრილს, 15 საათსა და 50 წუთზე ოქტომბრის ქუჩაზე გადასასვლელ ხიდთან იგი მოუწოდებდა გამვლელთ გაფიცულიყვნენ. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკების მოთხოვნით მან შეწყვიტა მოწოდებები, მაგრამ წინააღმდეგობა გაუწია დაკავებისას. დაჯარიმებულია გელა ტუღუშიც, თბილისის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მექანიკოსი, რომელიც 11 აპრილს, 12 საათზე მოუწოდებდა ავტობუსის ერთ-ერთ მძღოლს არ გასულიყო სამუშაოზე.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების პირველი და მეორე ტურის შეხვედრები:

„ნარტი“ (ჩერკესკი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — ომც (თბილისი) 5:3, „ვოსხოდი“ (სუმგაითი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1, „დინამო“ (სოხუმი) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი) 2:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 2:1, „დილა“ (გორი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 2:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ყარაბახი“ (აგდამი) 4:0, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 4:1, „ბაკინეცი“ (ბაქო) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:1, „ნარტი“ (ჩერკესკი)— ომც (თბილისი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „ვოსხოდი“ (სუმგაითი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 2:0, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 1:1.

3. ლობანოვსკი

დეპუტატობის კანდიდატი

სახალხო დეპუტატთა არჩევნებზე კიევის №33 საქალაქო ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების სათანადო რაოდენობა, ამიტომაც იგი არჩეული არ იქნა. შესაბამისად ამისა, ამ საარჩევნო ოლქში 14 მაისს მოხდება ხელახალი არჩევნები. დეპუტატობის ახალ კანდიდატთა შორის არის კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვ. ვ. ლობანოვსკი.

იტალია-90

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

შედგა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში.

III ჯგუფი

სენსაციურად დამთავრდა გდრ-ისა და თურქეთის გუნდების შეხვედრა ქალაქ მაგდებურგში (გდრ). ცნობილია, რომ III შესარჩევ ჯგუფში გდრ-ის ნაკრები ფინალური საგზურის მოპოვების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია და, აი, ამ გუნდმა თავის მინდორზე მარცხი იწვნია თურქეთის ნაკრებთან შეხვედრაში. მართალია, თურქეთის ფეხბურთელთა ბოლო ხანების მიღწევები თვალსაჩინოა, ეს ითქმის როგორც საკლუბო გუნდებზე, აგრეთვე, ეროვნულ ნაკრებზეც, მაგრამ თუ თურქები შესარჩევი ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტს ასეთი ანგარიშით დაამარცხებდნენ მისივე მინდორზე, ამას ნაკლებად მოელოდნენ.

პირველი ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა თურქების საუკეთესო ბომბარდირმა და ევროპის „ოქროს ბუცის“ შარშანდელმა მფლობელმა ჩოლაკმა (21-ე წუთი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა მთელი თამაშის მანძილზე ვერ შეძლო თანაბრობის აღდგენა და მეტიც — რიდვანმა 88-ე წუთზე კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0.

ამ მატჩის შემდეგ, ევროპის III შესარჩევ ჯგუფში საერთოდ ძნელია ლიდერებსა და აუტსაიდერებზე ლაპარაკი. კონკურენტთა შანსები გათანაბრდა, ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრას, რომელიც 26 აპრილს უნდა შედგეს კიევში.

გათამაშების ცხრილი:

თურქეთი	4	2	1	1	8-5	5
სსრ კავშირი	2	1	1	0	3-1	3
ავსტრია	2	1	0	1	3-4	2
გდრ	3	1	0	2	3-5	2
ისლანდია	3	0	2	1	2-4	2

VI ჯგუფი

არანაკლებ სენსაციური იყო უნგრეთისა და მალტის გუნდების შეხვედრის შედეგი, მით უფრო, რომ იგი უნგრელთა მინდორზე, ბუდაპეშტში შედგა. ფრე — 1:1, სტუმართა დიდი წარმატებაა და მასპინძელთა აშკარა ჩავარდნა. მალტის ნაკრებში ბოლო ხანებში გამოჩნდა აშკარა ლიდერი, ახალი „ვარსკვლავი“ ბუსუტილი. ბუდაპეშტში მან ბრწყინვალედ ითამაშა და უკვე მე-7 წუთზე გაიტანა ბურთი უნგრელთა კარში. მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ანგარიში მხოლოდ 49-ე წუთზე გაქვითეს: ბოდამ ზუსტად გაიტანა 11-მეტრიანი.

ესპანეთი	5	5	0	0	14-0	10
უნგრეთი	4	1	3	0	5-4	5
ჩრ. ირლანდია	5	1	1	3	3-7	3
ირლანდია	3	0	2	1	0-2	2
მალტა	5	0	2	3	3-12	2

სხვა ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდები გაცხოველებით ემზადებიან ოფიციალური შესარჩევი მატჩებისთვის და ამხანაგურ თამაშებს მართავენ.

დიდი ინტერესით მოელოდნენ ბრაზილიისა და პარაგვაის გუნდების შეხვედრას, რომელიც ქალაქ ტერესინაში გაიმართა 65 ათასი მაყურებლის თანდასწრებით. მასპინძლები, ბრაზილიელები, აშკარად ჯობდნენ მეტოქეს, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ვივინიომ და კრისტოვამ. მიმომხილველები ხაზს უსვამენ ახალბედების ძლიერ თამაშს, რომლებმაც წარმატებით შეცვალეს ვეტერანები ზიკო, სოკრატესი, ჟუნიორი და სხვანი. ისინი თამაშობდნენ ტრადიციულ ბრაზილიურ სტილში, ლამაზად და აგრესიულად.

პოლონეთის ნაკრებმა ვარშავაში მიიღო რუმინეთის გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. ევროპაში სტუმრად არიან კანადელი ფეხბურთელები. ისინი კოპენჰაგენში შეხვდნენ დანიის ნაკრებს, გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ლევერკუზენი. ჰოლანდიელი რინუს მიჰელსი, რომლის ხელმძღვანელობითაც ჰოლანდიის ნაკრებმა შარშან ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, გაათავისუფლეს ლევერკუზენის „ბაიერის“ ხელმძღვანელობიდან, თუმცა ამ კლუბთან მას კონტრაქტი დადებული ჰქონდა 1990 წლამდე.

ლევერკუზენის „ბაიერი“ უეფა-ს თასის შარშანდელი მფლობელია, მაგრამ მას ცუდად წაუვიდა საქმეები წლევანდელი სეზონის დაწყებიდანვე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატში იგი მხოლოდ მე-12 ადგილზეა და ზედიზედ წააგო ბოლო 3 მატჩი. მიჰელსმა ვერაფრით ვერ შესძლო საერთო ენის გამონახვა „ბაიერის“ ფეხბურთელებთან, ამიტომაც იძულებული გახდა თავი დაენებებინა კლუბისთვის, იგი კი ყველაზე ძვირად ღირებული მწვრთნელი იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

სხვათა შორის რ. მიჰელსი გამონაკლისი არაა. იგი ბუნდესლიგის მეშვიდე მწვრთნელია, რომელსაც წლეულს სამუშაოს დატოვება მოუხდა.

ლისაბონი. პორტუგალიის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის გუნდები „ბენფიკა“ და „ბელენესში“. ნახევარფინალებში მათ ერთნაირი ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ბრაგის „სპორტინგი“ და ლისაბონის „სპორტინგი“.

რომი. იტალიის საფეხბურთო ცხოვრებაში რამდენიმე სიახლეა. ასე, მაგალითად, „კომოს“ უფროსი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს რინო მარჩეზი. ამ სპეციალისტმა უწინ კარგი სახელი მოიხვეჭა „ინტერში“, „ნაპოლიში“, „იუვენტუსში“, მაგრამ ვერ შეძლო „კომოს“ გამოყვანა კრიზისიდან, ეს კლუბი ახლა ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება.

„მილანის“ ხელმძღვანელობამ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის სპასუხო მატჩის ყველა ბილეთი მადრიდის „რეალთან“, რომელიც 19 აპრილს უნდა შედგეს, უკვე გაყიდულია. მილანის „მეაცას“ სტადიონზე 70 ათასი მაყურებელი იქნება ამ მეტად საინტერესო თამაშის მხილველი, „მილანის“ შემოსავალი 2,3 მილიონ დოლარს მიაღწევს, ესპანელ გულშემატკივართათვის გამოყვეს მხოლოდ 5.600 ბილეთი.

ტურინის ცნობილი „იუვენტუსი“ მოლაპარაკებას აწარმოებს მადრიდის „ატლეტიკთან“ ბრაზილიელი ფორვარდის ბალთაზარის თაობაზე. ეს ფეხბურთელი წინასწარი შეფასებით 6 მილიონი დოლარი ღირს. 28 წლის ბალთაზარი ამჟამად ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია და თუ კონტრაქტი პურიდიულად გაფორმდა, ბრაზილიელი ფეხბურთელი მეოთხე უცხოელი იქნება „იუვენტუსში“ (შეგახსენებთ, რომ აქ გამოდის საბჭოთა ფეხბურთელი ა. ზავაროვიც). იტალიაში არსებული წესებით მინდორზე ერთდროულად შეიძლება მხოლოდ 3 უცხოელის გამოყვანა.

როგორც იტალიის ფედერაცია იუწყება, 22 აპრილს ვერონაში გაიმართება ამხანაგური შეხვედრა იტალიისა და ურუგვაის ნაკრებ გუნდებს შორის. იტყობინებიან, რომ იტალიელთა მწვრთნელს ა. ვიჩინის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის განზრახული აქვს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოიყვანოს გუნდში და ტაქტიკურ სიახლეებსაც მიმართოს.

ინგლისის კლუბების რეაბილიტაცია

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის მორიგ სხდომაზე პორტუგალიის ქალაქ ალგარვეში დაადგინა, რომ ინგლისის საფეხბურთო კლუბები ევროპის საკლუბო ტურნირებზე დაუშვან 1990-1991 წლების გათამაშებიდან.

მაგრამ ამასთან დაკავშირებულ გამოქვეყნებულ სპეციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ აღმასკომის ეს დადგენილება უნდა დამტკიცდეს 1990 წლის ივნისის სხდომაზე, ხაზგასმულია ისიც, რომ ევროპულ თასებში „ლივერპულის“ დაშვების საკითხი განიხილება ცალკე.

ინგლისის კლუბების ევროპულ სათასო გათამაშებებიდან განდევნა მოხდა ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე 1985 წლის 29 მაისს ტრაგიკულ მოვლენათა შემდეგ, რომელიც მოხდა იტალიის „იუვენტუსისა“ და ინგლისის „ლივერპულის“ მატჩში.

ახლა უცხოელი მიმომხილველები ათასგვარ კომენტარს უკეთებენ უეფა-ს ამ გადაწყვეტილებას. ბევრი ეჭვს გამოთქვამს, რომ ინგლისელ გულშემატკივართა ხულიგნობის აღკვეთა მოხერხდება, მაგრამ უეფა-ს პრეზიდენტმა ჟაკ ჟორჟმა განაცხადა: „მთელი მსოფლიო იქნება იმის მოწმე, თუ რამდენად სწორად აღიქვამენ ინგლისელი გულშემატკივრები ჩვენს გადაწყვეტილებას. ეს მათი ბოლო შანსია“.

მეოთხედფინალში ვერ გაჭიდა

ამელია აილენდი. აშშ-ს ამ ქალაქში მიმდინარეობს ჩოგბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პირველი წრე შედარებით უმტკივნეულოდ ჩატარდა და ყველა ფავორიტმა ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვა. აი მეორე წრე კი უძლიერესთათვის „დრამატიული“ გამოდგა. სიძლიერის მიხედვით „განთესილთაგან“ ექვსი გამოეთიშა შეჯიბრებას. მათ შორისაა ორი საბჭოთა ჩოგბურთელი — ნატალია ზვერევა, რომელიც ჩეხოსლოვაკელ რეგინა რაიხრტოვასთან დამარცხდა 6:3, 3:6, 3:6 და ლარისა სავჩენკო. ამ უკანასკნელმა ბრძოლა საბერძნეთის წარმომადგენელ ანჟელიკა კანელოპულუსთან დათმო — 4:6, 6:2, 1:6.

ბრძოლას საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ ლეილა მესხი განაგრძობს. მეორე წრეში მან არგენტინელი ლაურა გილდემაისტერი დაამარცხა — 3:6, 6:2, 7:5.

ბუენოს საღამოთი მოვიდა ცნობა, რომ ლეილა მესხმა ვერ მოახერხა მეოთხედფინალში გასვლა: იგი დამარცხდა ამერიკელ კეტი რინალდსთან შეხვედრაში — 6:3, 2:6, 3:6.

ალბა მორენო—ანედა ხვერეგა-ს ეჯიბრის წყვილზეა, რომელმაც მეორე წრეში აჯობა იზაბელ კუეტო (გფრ) — ხუ ნას (აშშ) ინტერნაციონალურ დუეტს.

სინგაპური. უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი, 32 წლის შვედი ბიორნ ბორგი, რომელმაც თავისი სპორტული კარიერა ექვსი წლის წინ დაამთავრა, კვლავ ჩადგა მწყობრში, ოღონდ დროებით. ამ დღეებში მან მონაწილეობა მიიღო საჩვენებელ მატჩში, რომელმაც ადგილობრივი ჩოგბურთის მოყვარულების დიდი ინტერესი გამოიწვია. ბორგის მეტოქე იყო ასევე ვეტერანი ჩოგბურთელი, 30 წლის ამერიკელი ჯონ მაკენროუ, რომელიც ასაკის მიუხედავად წარმატებით გამოდის კორტზე და მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სიაში დღესდღეობით მეექვსე ადგილზე იმყოფება. გამარჯვება ამერიკელს დარჩა — 6:3, 6:3.

ჩოგბურთის კორიფეები საჩვენებელ შეხვედრებს აზიის კიდევ სამ ქალაქში გამართავენ.

დანინაურდა ზ. აზმაიფარაშვილი

ბერლინი (გდრ). მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში ერნსტ ტელმანის მემორიალზე 5 ქულით ლიდერობს თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან უვე ბიონში და რაი ტიშბერეკი (ორივე — გდრ). შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური რჩება.

ორი გატონის მსახური

80-იანი წლების ბოლოს ურუგვაელი თავდამსხმელის რუბენ პასის ბიოგრაფიაში ახალი ეტაპი დაიწყო. შარშან სეზონის დასაწყისში საფრანგეთის „მატრა რესინგმა“ დროებით დაუთმო პასი ბუენოს-აირესის „რესინგს“. ახალ გუნდში ფეხბურთელმა, მისივე სიტყვებით, აღიდგინა დაკარგული ფორმა, თამაშის ხალისი, დაიბრუნა საკუთარი ძალების რწმენა. პარიზის კრიზისული პერიოდი წარსულს ჩაბარდა და დღეს, სამხრეთ ამერიკის სპორტული პრესა ისევთვე ალტაცებით წერს რუბენ პასის შესახებ, როგორც ადრე, როცა მას „ურუგვაელ მარადონას“ უწოდებდნენ. შარშან ბუენოს-აირესის „რესინგმა“ სამხრეთ ამერიკის სუპერთასი მოიგო, პასი კი კონტინენტის უძლიერეს მოთამაშედ აღიარეს.

● ნახევარი წელია, რაც არგენტინაში თამაშობთ. როგორ გრძნობთ თავს? — ჰკითხა ფორვარდს კორესპონდენტმა.

— ბედნიერი ვარ, რომ თანაგუნდელებმა და გულშემატკივრებმა კარგად მიმიღეს, — უპასუხა მან, — რწმენა აღმიდგა. პარიზში უმთავრესად სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, აქ კი პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი. გუნდში „მატრა რესინგისგან“ განსხვავებით, იდეალური ატმოსფეროა.

● რამდენადაც ვიცი, ჯერჯერობით მაინც, პარიზელთა „საკუთრებად ითვლებით“...

— დიახ, არგენტინაში დროებით გამომიშვეს. სათამაშო პრაქტიკის აღდგენის მიზნით ორი თვე ესპანეთის „ვალენსიაში“ გავატარე. თუ გამიმართლებს, შეიძლება პარიზელთა ხელმძღვანელობას დაავიწყდეს ჩემი არსებობა. არ მინდა იქ დაბრუნება.

● რას ფიქრობთ თანამედროვე ფრანგულ ფეხბურთზე?

— საფრანგეთში, იტალიისა და გფრ-ს მსგავსად, წინა პლანზეა გამარჯვება. ფრანგებს არ აწუხებთ წამყვან მოთამაშეთა ემიგრაციის პრობლემა. სამხრეთ ამერიკაში ნებისმიერი მოთამაშე მზადაა კარგი გასამრჯელოსთვის ცხრა მთა იქით გაემგზავროს, ეს კი დიდ პრობლემებს უქმნის მწვრთნელებს. ხშირად მათ ერთი სეზონის განმავლობაში ორი შემადგენლობის გამოცდა უწევთ. ნაკრების ხელმძღვანელებს კი მთელ მსოფლიოში უხდებათ თავიანთი ფეხბურთელების ძებნა. ამიტომ ჩვენი გუნდები ხშირადაა შეუთამაშებელი.

● რატომ ვერ გახდათ „მატრა რესინგის“ ძირითადი მოთამაშე?

— როცა პარიზს მიმიწვიეს, ბრაზილიის „ინტერნასიონალში“ ვთამაშობდი. რამდენიმე იტალიური კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ „მატრა“ ვარჩიე, იქ ხომ ჩემი თანამემამულენი ფრანჩესკოლი და უმპიერესი თამაშობდნენ. ამ დროს გუნდში მოვიდნენ ბოსი, ფერნანდესი და გერმანელი ლიტბარსკი. შეიქმნა ზედმეტი უცხოელის პრობლემა. მიუხედავად ამისა, მწამდა, რომ შევძლებდი ჩემი ადგილის პოვნას. სამწუხაროდ, მწვრთნელთა კონცეფცია დაკვეთი აღმოჩნდა, მე მას ვერ მოვერგე და რეზერვში აღმოვჩნდი.

● რა ურთიერთობა გქონდათ კლუბის ფუნქციონერებთან?

— გუნდის მოქმედებას სწორედ ისინი წარმართავენ. მწვრთნელი მხოლოდ ბრძანების შემსრულებელია. ასეთ ვითარებაში, როცა თამაშში ჩაუხედავი ხალხი მართავს ტაქტიკას, შეუძლებელია წარმატებაზე ლაპარაკი. ამიტომ იყო, რომ პორტუგალიელი არტურ ჟორჟე „პორტოში“ მოპოვებული ტრიუმფის შემდეგ, სრულიად დაიკარგა პარიზში, მერწმუნეთ, ვერც ახლანდელი მწვრთნელი ივიჩი მიაღწევს რამე მნიშვნელოვან წარმატებას.

● იქნებ ფრანგული ენის უცოდინარობამ შეგიშალათ ხელი?

— შესაძლოა ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი. მაგრამ მინდორზე ბევრი ლაპარაკი არაა საჭირო. იქ საფეხბურთო „ენას“ უნდა ფლობდე, მას კი ყველა მოთამაშე იგებს. სამწუხაროდ, არავინ დამეხმარა გაჭირვების დროს. სხვათა შორის, იგივე მოუვიდა ფრანჩესკოლისაც. მასაც ჩემსავით სურდა პარიზიდან წასვლა. იქ ენცოს ტალანტს არა აქვს გასაქანი.

● არგენტინაში სეზონის ბოლომდე დარჩებით, რა იქნება მერე?

— არ ვიცი, „რესინგში“ ივნისის ბოლომდე ვითამაშებ. შემდეგ, კონტრაქტით, კიდევ ორ წელიწადს „მატრა რესინგის“ საკუთრებად ვითვლები. ძალიან არ მინდა ბუენოს-აირესიდან წასვლა, მაგრამ ჩემზე არაფერია დამოკიდებული.

პარიზის „რესინგის“ პრეზიდენტმა ლუკ ლაგარდიემ განაცხადა, რომ გუნდის კრიტიკული მდგომარეობის გამო, შემდეგი სეზონიდან საჭიროა ძირითადი შემადგენლობის რადიკალური შეცვლა. ძვირადღირებულ „ვარსკვლავებს“ შეცვლიან ახალი მოთამაშეები. მათ სიაში პირველ ნომრად დასახელეს რუბენ პასი...

ლიდერთა ჯგუფი პოზიციებს არ თმობს

მინსკი (14 აპრილი, ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ერთდღიანი შესვენების შემდეგ მინსკის ჭადრაკის სასახლეში განახლდა 16, 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობების შესარჩევი ტურნირები.

VII ტურში შავი ფიგურებით ვხვდებოდი სოფიკო ტერელაძეს. გათამაშდა ესპანური პარტია. მეფის ფრთაზე შეტევა რომ წამოვიწყე, მეტოქემ გვირგვინოსანი ლაზიერის ფრთაზე გახიზნა. ახლა დაფის ამ ნაწილს შევუტიე და შექმენი შამათის მუქარები, როგორც ჩანს, ეს იერიში მძაფრი გამოდგა და ასე მოვიპოვე გამარჯვება ამ შეხვედრაში.

ნათია ჯანჯღავამ და ტულიკი ლაესონმა ჰოლანდიური დაცვა გაითამაშეს. მიტელშპილში ნათიამ პაიკი დაკარგა და თუმცა მერე მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეს, მატერიალურმა დანაკლისმა მაინც თავისი ქნა და ჯანჯღავამ მეტად საწყენი მარცხი იწვნია.

საინტერესო გამოდგა სვეტლანა მატვეევასა და ჰენრიეტა ლაგვილავას პარტია. ფრუნზელი მოჭადრაკე ციაიტნოში ჩავარდა, მაგრამ ის მაინც მოახერხა, რომ პარტია გადაედო. მეორე დღეს, თამაშის განახლებისას, გამოცდილმა ფრუნზელმა საერთაშორისო ოსტატმა უშეცდომოდ ითამაშა და 70-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: კიბრიკი-იურევა 1:0, ბელაკოვსკაია — სოფიევა 0,5:0,5, დომარკაიტე — შური 1:0, ველიხანლი-კორკინა 1:0.

VII ტურში ანა შური შეუპოვრად უტევდა ჯანჯღავას პოზიციას, მაგრამ ერთ მომენტში შეცდა, ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა და ნათიამაც ხელიდან აღარ გაუშვა მოგების შანსი — მეტად მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერა აქტივში.

მე და ანჯელა ბელაკოვსკაიამ სლავური დაცვა გავითამაშეთ. ვინაიდან მეტოქეს მეფე ცენტრში ჰყავდა დარჩენილი, იერიშის მისაღებად დებიუტში ორი პაიკი შევწირე, მაგრამ ოდესელი ოსტატი ზუსტად იცავდა თავს. მიუხედავად იმისა, რომ გამსვლელი პაიკი მივიღე, ბელაკოვსკაიამ მაინც მოახერხა და მუდმივ ქიშზე „დამიჭირა“.

საკმაოდ სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე ლაგვილავა და ტერელაძე. ლაგვილავა კიდევ ერთ პარტიაში დაუზავდა მეტოქეს—მისი და ლაესონის პირველი ტურის გამოტოვებული შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

VII ტურის სხვა პარტიათა შედეგები: იურევა-კორკინა 0,5:0,5, ლაესონი-ველიხანლი 0,5:0,5, სოფიევა-დომარკაიტე 1:0, კიბრიკი-მატვეევა 0,5:0,5.

8 ტურის შემდეგ ტურნირს 6,5 ქულით კვლავ მე ვლიდერობ. ნახევარი ქულით ჩამომრჩება აინურ სოფიევა. 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს ჯანჯღავამ, ბელაკოვსკაიამ და მატვეევამ. შემდეგ 4,5-4,5 ქულით მოდიან ლაესონი და სვეტლანა კორკინა.

16 წლამდე ასაკის გოგონათა შეჯიბრების პირველი წრე სოფიკო ნიკოლაძის გამარჯვებით დამთავრდა. როგორც გახსოვთ, მას იმ დროისთვის 3 ქულა ჰქონდა. მეორე წრის პირველ ორ პარტიაში სოფიკო დაუზავდა კოვალევსკაიას და დამარცხდა აგაევასთან. ახლა ამ ტურნირში ოთხი ლიდერია: 3,5-3,5 ქულა აქვთ ნიკოლაძეს, ევგენია კოვალევსკაიას (როსტოვი), ოლგა იაშჩენკოსა და ზეინაბ აგაევას (ორივე — ბაქო), 3-3 ქულა და თითო გადადებული პარტია — იულია ლევიტანსა (მინსკი) და იარინა ზაკს (კიშინოვი).

ქეთევან კახიანი,
საერთაშორისო ოსტატი.

ნ. ჯანგირაშვილი



დადიოდა თბილისში ერთი გულანთებული, ალალმართალი, უანგარო კაცი — ნოდარ ჯანგირაშვილი. მას კარგად იცნობდნენ ჩვენს რესპუბლიკაში, მის გარეთაც, როგორც სპორტის ფანატიკოსს, ხიახლეთა მაძიებელსა და განმაზოგადებელს. მისი წინადადებით დაინერგა ჩვენთან სპორტული ლატარეა, შეიქმნა პირველი სპორტული ბიბლიოთეკა. ამ დღეებში კი მისი კიდევ ერთი ჩანაფიქრი ასრულდა — დაარსდა ჯანმრთელობისა და სპორტის ფონდი. ერთი თვის ჯამაგირიც პირველმა შესწირა ამ ფონდს. დაუცხრომლად ზრუნავდა ვეტერან სპორტსმენთა ბედზე. რომელი ერთი გავიხსენოთ.

ამ კაცს ყველა სხვა საქმე გადადებული ჰქონდა, გარდა ერთისა — დღენიადაგ ფიქრობდა რაიმე ხიკეთე მოეტანა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისათვის. განათლებით პედაგოგი გვიან ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიდა. ახლა 41-ე გაზაფხული ედგა. „ლელოს“ რედაქცია დიდად დავალებულია მისგან, ახლაც დევს რედაქციაში 9 აპრილის ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე მოტანილი მისი თხოვნა — გვეთავაა და 16 აპრილს რესპუბლიკაში ჩაგვეტარებინა ეკოლოგიური შაბათობა, სუფთა ჰაერზე გვეხმო ფიზკულტურელებისათვის, გაგვეწმინდა ტურისტული ბილიკები, თბილისის ზღვის, კუს ტბის, ლისის ტბის მიდამოები. ეკოლოგიური მამითადის გამაჯანსაღებელი სპორტული პროგრამაც შემოგვთავაზა. ვაგლახ, რომ ჩაგვეშალა ეს პატრიოტული ღონისძიება, თავად ნოდარი კი ვეღარ მოესწრო 16 აპრილს. სხვა დროს ამ ნათელი და ალალი კაცის ხსოვნის პატივსაცემად ჩვენ მაინც შევასრულებთ მის სურვილს.

იმ ავბედითი განთიადისას რუსთაველის პროსპექტზე თავისი ეზოდან ჩავიდა. როცა ტრაგედია დატრიალდა, ახოვანმა და ჯან-ღონით სავსე კაცმა ორი უმწეო ქალიშვილი შეიფარა მხრებქვეშ და განსაცდელს გაარიდა. შემდეგ ალბათ სხვების მისაშველებლად თუ დააპირა ისევ იმ ჯოჯოხეთში შებრუნება, მაგრამ...

ნოდარს სხვანაირად არ შეეძლო, იგი სულით ხორცამდე რაინდი იყო და ასეთი გვემახსოვრება მუდამ.

ამხანაგების ჯგუფი.

ეძგვერაძე

ლიდერთა შორის

ბლუნგე (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ლიტვის ამ ქალაქში დაიწყო 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა საკავშირო შესარჩევი ტურნირი. დღეისთვის 3,5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობს ნიკოლაევა. 2,5-2,5 ქულა აქვთ ნატო ეძგვერაძეს, სეგალზსა და რასოკევას. 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს პარფინოვამ და რუბაიტიტემ.

გიორგი ხომერიკი

მესამე საფეხურზე გადაინაცვლა

ბარსელონაში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების IV ეტაპზე კიდევ ორი ტურის შეხვედრები გათამაშდა. აი, მათი შედეგები — **XI ტური:** შორტი-სეირავანი 1:0, ლიუბოევიჩი — იუსუპოვი 0,5:0:5, ბელიავსკი-კასპაროვი 0:1, ჰიარტარსონი-კორჩნოი 0:1, სპილმენი-რიბლი 0,5:0,5, ვაჰანიანი-სპასკი 0,5:0,5, ნიკოლიჩი — ნოგეირასი 1:0. სალოვ-ილესკასის პარტია გადაიდო. ჰიუბნერი თავისუფალი იყო; **XIII ტური:** სეირავანი-ლიუბოევიჩი 0:1, კორჩნოი-შორტი 0,5:0,5, კასპაროვი-სალოვი 1:0, ილესკასი-ვაჰანიანი 1:0, რიბლი-ბელიავსკი 1:0, ჰიუბნერი-ჰიარტარსონი 1:0, სპასკი-ნიკოლიჩი 0,5:0,5. იუსუპოვ-სპილმენის შეხვედრა გადაიდო. ისვენებდა ნოგეირასი.

ამ ტურების წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბელიავსკიმ სძლია სპასკის, სალოვმა-ნოგეირასს, ჰიუბნერმა-კორჩნოის. კასპაროვ-სპილმენის გამოტოვებულ პარტიაში გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტურით ადრე წინ კვლავ ლიუბომირ ლიუბოევიჩია (იუგოსლავია) — 8,5 ქულა. 8 ქულა მოაგროვა ნაიჯელ შორტმა (ინგლისი). გარი კასპაროვმა, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდება ლიდერთა ჯგუფს, მესამე ადგილზე გადაინაცვლა (7,5), ოღონდ მას ერთი პარტია მარაგში აქვს. შემდეგ მოდიან: რობერტ ჰიუბნერი (გფრ) — 7 (11-დან), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 6 (11-დან), არტურ იუსუპოვი — 5,5 (1; 11-დან), ბორის სპასკი (საფრანგეთი) — 5,5, მიგელ ილესკასი (ესპანეთი) — 5 (1), ვალერი სალოვი, პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ზოლტან რიბლი (უნგრეთი), იასერ სეირავანი (აშშ) — 5-5 11-11-დან), იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 5, ალექსანდრე ბელიავსკი, რაფაელ ვაჰანიანი — 4,5-4,5, ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 4 (1; 11-დან), ხესუს ნოგეირასი (კუბა) — 3 (11-დან).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

„ჟალგირისი“ და „სტროიტელი“

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მოსკოვი. ადგილობრივი არმიელებისა და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის კაუნასის „ჟალგირისის“ პრინციპულმა ბრძოლამ კალათბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველ შეხვედრაში ლიტველებს ვერც საბონისის მაღალმა ოსტატობამ უშველა (მართალია იგი ბრძოლაში ჩაება თამაშის დამთავრებამდე მხოლოდ 5 წუთით ადრე). ისინი დამარცხდნენ — 85:89 (52:39). მეორე შეხვედრაში საბონისი საერთოდ არ გამოსულა სათამაშოდ. ამის მიუხედავად „ჟალგირისმა“ ენერგიულად ჩაატარა ბრძოლა და რევანშიც. აიღო 95:91 (45:50).

მინსკი. ჩემპიონის ოქროს მედლების მეორე პრეტენდენტს კიევის „სტროიტელს“ მატჩი ჰქონდა ბელორუსიის დედაქალაქში. ფავორიტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე შეხვედრა მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა და გაიმარჯვა — 105:85 (49:40) და 93:84 (47:47).

დონეცკი. ლენინგრადის „სპარტაკმა“ ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურს. აი ამჯერადაც, ადგილობრივ „შახტიორთან“ მან ორივე შეხვედრა დათმო — 76:120 (39:52) და 85:106 (38:46).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 აპრილისთვის

„ჟალგ.“ (კაუნ.)	40	36	4	76
„სტროიტ.“ (კ.)	40	33	7	73
ასკ (ალმა-ათა)	40	26	14	66
ცსკა	39	26	13	65
„დინამო“ (ბ.)	40	22	18	62
„სტატ.“ (ვილ.)	42	20	22	62
„კალევი“ (ტალ.)	40	19	21	59
რტი (მინსკი)	42	16	26	58
„დინამო“ (თბ.)	38	17	21	55
ჯეუ (რიგა)	43	10	33	53
„შახტ.“ (დონ.)	40	11	29	51
„სპარტ.“ (ლენ.)	42	7	35	49

მასპინძლობდა ზაპოროჟიე

ამას წინათ ზაპოროჟიეში გაიმართა საკავშირო ტურნირი ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის იური ლაგუტინის პრიზზე 1974 წლებში დაბადებულ მოსწავლე ხელბურთელთა შორის.

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ნაკრებმა გუნდმა (უფროსი მწვრთნელი ჯიმერ დვალიშვილი) წარმატებით იასპარეზა და პირველობა მოიპოვა 18 გუნდს შორის. თამაშები 4 ქვეჯგუფად მიმდინარეობდა. „ვ“ ქვეჯგუფში ჩვენს გუნდთან ერთად გამოდიოდნენ იაროსლავლის, რიგისა და მოსკოვის (პიონერთა სასახლის) კოლექტივები. ქართველმა ხელბურთელებმა ქვეჯგუფში ყველა თამაში მოიგეს და იაროსლავლის გუნდთან ერთად გავიდნენ შემდგომ ეტაპზე. აქ დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულით — 18:19 წავაგეთ ვოლგოგრადის სპეციალიზებული სასპორტო სკოლის გუნდთან და პრინციპულ შეხვედრაში 25:21 მოვუგეთ ადგილობრივ ხელბურთელებს. ფინალში ჩვენი ნაკრები შეხვდა მოსკოვის „კუნცევოს“ და გაიმარჯვა 19:16.

გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ: მამუკა ნაროზაული, გოჩა მარგებაძე, გიორგი პაპიაშვილი, კოტე ბაშალეიშვილი, ჯონი ეფრემიძე, გოგიტა ბუტიკაშვილი, ირაკლი ხურციძე, ვახტანგ ცუცქირიძე, იაგო ჩხაიძე, გიგლა მაღლაქველიძე, გიორგი კურტანიძე და ოლეგ მასიუკოვი.

ნანა გოგოლაშვილი.

გამოვა თუ არა გრეცკი სტოკჰოლმში

შესაძლოა კანადის პროფესიული ჰოკეის ვარსკვლავმა უეინ გრეცკიმ მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ამ დღეებში სტოკჰოლმში დაიწყება. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისი კლუბი „ლოს-ანჯელეს კინგზი“ წარუმატებლად გამოვა სტენლის თასის გათამაშების ფინალურ სერიებში. თვით გრეცკიმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „თუ „კინგზი“ ნოკაუტს მიიღებს, მე უმალ სტოკჰოლმს გავფრინდები“. ჯერჯერობით გრეცკის გუნდი „ედმონტონ ოილერზთან“ შვიდრაუნდიან შეხვედრას აგებს ანგარიშით — 1:3.

27 წლის გრეცკი მსოფლიო ჰოკეის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა გახლავთ. შარშან „ედმონტონ ოილერზმა“ იგი „ლოს-ანჯელეს კინგზს“ 9 მილიონ დოლარად დაუთმო. „ოილერზში“ გატარებული ცხრა სეზონის მანძილზე ამ „დიდმა კანადელმა“ თავის კლუბს ოთხჯერ დაუკავებინა პირველი ადგილი. გრეცკის აზრით წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე კანადის ნაკრები საკმაოდ ძლიერი გუნდია. ყოველ შემთხვევაში, სასტარტო მატჩების მოგება ფინეთთან და პოლონეთთან მან უნდა შეძლოს, მერე კი გუნდი ალბათ კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩემპიონატის ფავორიტად კანადელ ჰოკეისტს მიაჩნია საბჭოთა კავშირის ნაკრები და შვეიცის გუნდი — მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი, რომელიც ამჯერად შინ ითამაშებს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

დაიწყო უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატი. პირველ ტურში „ქუთაისმა“ დაამარცხა კრასნოიარსკის ეტს — 15:10. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) — „სლავა“ (მოსკოვი) 10:0, „ავიატორი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 42:8; ასკ (ალმა-ათა) — „ფილი“ მოსკოვი) —24:3, „ზვეზდა“ (ტაშკენტი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 10:29.

მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით

ერევანი. აქ დაიწყო თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი სომხეთის მინისტრთა საბჭოს პრიზზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი ათლეტები. წლევანდელი ტურნირი ახლებური სისტემით ტარდება: პირად-გუნდური ასპარეზობის შემდეგ მოეწყობა ორდღიანი გუნდური შეჯიბრება. ასეთი ფორმულით გაიმართება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატიც.

ერევნის ტურნირში კოლექტივები უძლიერესი შემადგენლობებით არიან წარმოდგენილი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიან ოლიმპიური ჩემპიონი ანატოლი სტაროსტინი, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ვახტანგ იაგორაშვილი, უნგრეთის გუნდში— ოლიმპიური ჩემპიონი იანოშ მარტინეკი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ლაიოშ დობი, აგრეთვე, ბევრი სხვა ძლიერი ხუთჭიდელი.

პროგრამის პირველი სახეობაა მოფარიკავეთა ასპარეზობა.

ნახევარფინალები 21-23 ივლისს

ყამოვლინდა ის ოთხი გუნდი, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას ჩოგბურთელთა არაოფიციალური გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის —დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალში. ესენია: ამ პრიზის შარშანდელი მფლობელი გფრ-ის ნაკრები, უიმბლდონის ორგზის ჩემპიონის ბორის ბეკერის მეთაურობით, შვეცია, აშშ და იუგოსლავია.

ნახევარფინალებში, რომლებიც 21-23 ივლისს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან: გფრ-აშშ და შვეცია-იუგოსლავია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10418